ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №778230

ნომერი: AR1140349

თარიღი : 19.06.2013

გაცემის თარიღი : 05.07.2013

გაცნობის თარიღი : 05.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 ივნისის #745391 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ.თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 19 ივნისს #AR1140349 განცხადებით მომართა მოქალაქე მაია რჩეულიშვილმა და მოითხოვა არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 ივნისის #745391 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 ივნისის #745391 ბრძანებით ქ. თბილისში, ხოშარაული ქ. #29–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბიანინაი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 18 ივნისიდან 2014 წლის 18 იანვრის ჩათვლით.

საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა–ნახაზებზე არასწორად იქნა დატანილი საერთო ფართობისა და მასში შემავალი ფართების ციფრობრივი მაჩვენებელი, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გაცემულ ინდივიდულაურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. განმცხადებელის მითითებით, საცხოვრებელი ფართობი 1481.3 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1362.5 კვ.მ.–ს, საზაფხულო ფართობი 117.5 კვ.მ.–ის ნაცვლად შეადგენს 103.9 კვ.მ.–ს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 233.5 კვ.მ.–ის ნაცვლად შეადგენს 227.2 კვ.მ.–ს, ხოლო კომერციული ფართის ფართობი უცვლელი დარჩა. შესაბამისად, ცალკეული დანიშნულების ფართების ციფრობრივი მაჩვენებლების შეცვლის გამო შეიცვალა საპროექტო ობიექტის საერთო ფართობი და 1935.9 კვ.მ.–ის ნაცვლად შეადგენს 227.2 კვ.მ.–ს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ მითითებული ციფრობრივი მაჩვენებლები შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ კორექტირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 ივნისის #745391 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართისა და მასში შემავალი ფართების ციფრობრივი მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
– საერთო ფართი – 1797.2 კვ.მ.
მათ შორის:
– საცხოვრებელი ფართი – 1362.5 კვ.მ.
– საზაფხულო ფართი – 103.9 კვ.მ.
– კომერციული ფართობი – 103.6 კვ.მ.
– კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი – 227.2 კვ.მ.
2. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 ივნისის #745391 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge